ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N14

2024 წლის 30 აგვისტო

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 23 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

არ ესწრებოდნენ

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

მ. შარიქაძე საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

არ ესწრებოდნენ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

კობა გოგსაძემ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ს წევრმა, რომელმაც დააყენა წინადადება ადმინისტრაციული ერთეულებში, სადაც ამომრჩეველთან შეხვედრა ტარდება საველე პირობებში იქნებ მოხერხდეს, რომ არსებობდეს ერთი გადახურული სივრცე, სადაც ადამიანებს ექნებათ თავშეყრის ადგილი. უბრალოდ უხერხულია რომ დღეს ღია ცის ქვეშ იმართება შეხვედრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**